შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „კავკასია პლიუსს“ შორის 2019 წლის 11 მარტს
გაფორმებულ N173-ე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

ქ. თბილისი 25 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „კავკასია პლიუსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205083201) შემდგომში ,,მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ კანდელაკიშვილის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2019 წლის 11 მარტს გაფორმებულ N173-ე ხელშეკრულების მე-11 მუხლის საფუძველზე (CON190000103 - დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი) ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „კავკასია პლიუსს“ შორის 2019 წლის 11 მარტს გაფორმებულ N173-ე ხელშეკრულებაში საჭიროა შევიდეს ცვლილება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ნაწილში შესყიდვის ობიექტის შემცირების მიზნით და ხელშეკრულებაზე თანდართული ფასების ცხრილი (დანართი N1) შეცვალოს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა იხელმძღვანელა ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად და მიმწოდებელთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით მოსაწოდებელი საქონლის შემცირების შესახებ.

დადგენილებით ნაწილი:

1) ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებაზე თანდართული ფასების ცხრილი (დანართი №1) შეიცვალოს და ჩანაცვლდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული ფასების ცხრილი დანართი №1-ით.

2) ზემოაღნიშნული ცვლილების შესაბამისად ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება 279800 ლარი შემცირდეს 138668,88 ლარით და შეადგინოს 141131,12 ლარი;

3) ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების მიწოდების ვადა შეიცავლოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.2 საქონლის მიწოდების ვადა და გრაფიკი:

4.2.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით, წინაბდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად“.

4) მიმწოდებელი უფლებამოსილია უზრუნველყოს სს,,პროკრედიტ ბანკი“-ს მიერ 2019 წლის 05 მარტს გაცემული **N1800028** - **13990** ლარის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან - **6933,44** ლარის გამონთავისუფლება წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე.

5) ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.

6) წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.

7) წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2019 წლის 11 მარტს დადებულ N173–ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება და ტექნიკური მახასიათებელი	წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი კომპანია	განზ	რაოდ	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
	დაფინანსების წყარო - 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი							
1	**დაკონსერვებული ლორი** • საქონელი უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის (მწარმოებელი ქვეყნის სტანდარტი), ფერი, სუნი და გემო დამახასიათებელი გარკვეული ნიმუშისთვის, • წონით 200 გრ-დან 250 გრ-მდე დასაშვები ცდომილება ± 5გრ. • ენერგეტიკული ღირებულება 100 გრამ პროდუქტში არანაკლებ 270კკალ., ცხიმიანობა 20-25%. ღორის ხორცის შემცველობა არანაკლებ 70%–სა. • გამოკვეთილი არომატი სანელებლების, არადამახასიათებელი სუნისა და გემოს გარეშე. • არ უნდა შეიცავდეს ხორცის შემცვლელ ინგრედიენტებს, ადამიანის ორგანიზმისთვის საშიშ და აკრძალულ საკვებ დანამატებს (საღებავების, კონსერვანტებისა და ემულგატორების სახით). • შენახვის ვადა მოწოდებიდან არანაკლებ 2.5 წელი. • დაფასოებული თუნუქის უჟანგავ ქილებში. შესაბამისი მარკირებით.	გერმანია Eugen Rehm Esslinger Fleischwaren GmbH&Co. KG	კგ	10 088	13,99	141 131,12	შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში	ქ.თბილისი ქიზიყის ქ. №5
	ჯამი					**141 131,12**		

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები